

მარტინი



მე ვარ მწევემსი კეთილი: მწევემსან გეთილმან სული თვისი
დაჭვდგის ცხოვართათვის. (ითა. 10—11).

ვპოვე ცხოვარი ჩემი წარწყმედული. ესრეთ იყოს სიხარული
ცათა შინა, ერთისათვის ცოდვილისა. (ლუკ. 15—4).

მოვედით ჩემდა ყოველნი მაშერალნი და ტვირთ-მძიმენი
და მე განგისვენ თქვენ. (მათ. 11—28).

№ 2

1883—1894

30 იანვარი.

შინაარსი: დღესასწაულობა ქუთ. სას. სასწავლებელში.—ქართლ-კახეთის მთელი ეპარქიის სამღვდელოების დეპუ-
ტატების კრებისა გამო ქ. თბილისში ოქტომბრის 8—14-და.—ახალი ამბები და შენიშვნები.—დღი და საუკუნე.—
ქართული აპოკრიფები.—სასარგებლო ცოდნა, აგადმყოფობა ფუტკრებისა.—გალენდარელი ცნობა. —განცხადებანი.

დღესასწაულობა ჩუთაისის სასულიერო სასაზ-
ლებელში 26 იანვარს.

26 იანვარს ქუთაისის სასულიერო სას-
წავლებელმა დიდის ამბით იღდესასწაულა ხე-
ნება წმიდა მეფის და ვით აღმამენებელისა,
რომლის სახელობაზე ამ სასწავლებელში და-
არსებულია მმობა ღარიბ მოწაფეთა შესა-
წევნელად. ამ დღეს სასწავლებლის ეკკლესიაში
სწირა ეკვლად სამღვდელო იმერეთის ეპისკო-
პოსტისა გაბრიელმა. წირვაზე გალობდა ამ სას-
წავლებლის მოწაფეთაგან მემდგარი 2 გუნდი

რესტურად და ქართულად. წირვის გათავების
შეძლება გარდახდილ იქმნა პარაკლისი წმ. მეფის
დავით აღმამენებლის სახელობაზე. პარაკლისის
გათავების შეძლება აქტი იუ სასწავლებლის
ერთ დიდ ღარიბაზე. აქტზე დაწესრო უოვ-
ლად სამღვდელო გაბრიელი, მრავალი სამღვ-
დელო და საერო პირი, სასწავლებლის მას-
წავლებელნი და მოსწავლენი. პირველად მოს-
წავლებელნი და მოსწავლენი. პირველად მოს-
წავლებელთაგან შედგენილმა მგბლობელთა გუნდმა
იკავლობა: « დღეს მაღლმან სულისა წმიდისამან
შეგვრიბნა ჩეენ ». შეძლება ამისა სასწავლებლის
ზედამსედველმა ბ, ალ. იაროსლავმა წაიკითხა

1883 წელი

ვოცელი ანგარიში მმობისა. ამ ანგარიშს ჩვენ დავბეჭდავთ შეძლევს ნომერში. ანგარიშის წა- კითხვის შეძლებ მგალობლებმა იგალობეს «ცხოვრებისა ზღვა». ამის შეძლევ მეოთხე კლა- სის ერთმა მოწაფემ კ. ფოცხვერამვილმა წაი- კითხა წმიდა დავით აღმაშენებელის ცხოვრების და მოღვაწეობის მოკლე აღწერილობა. შეძ- ლებ მგალობელთა გუნდმა იგალობა ქართუ- ლად წმ. დავით აღმაშენებელის ტროპარი. შესამე კლასის მოწაფემ პაპავამ წაიკითხა რუ- სული ლექსი «Дай добрый товарищъ». ამის შეძლებ მეოთხე კლასის მოწაფემ კვ. ჩინჩა- ლაძემ წაიკითხა ლექსი «გელათი», შეძლებ მე- თხე კლასის მოწაფემ ნ. ჯაბიძემ წაიკითხა რუსულს ენაზე ლექსი „ПѢСНЬ БѢДНЯКА“. ბოლოს მეოთხე კლასის მოწაფემ ი. ჩლაიძემ წაიკითხა შეძლები ლექსი:

რა არის ჩვენი სიცოცხლე?

«რა არის ჩვენი სიცოცხლე, თუ არა საქმე კუთილი, თუ არ აღვაღენთ დაცემულს, არ ვექმნეთ ნუგეშ-
მცემელი, თუ არა ვსდევთ ბოროტსა, მართლას არა ვართ
მფარველა? სხვის კვერსა თუ არ გვაწუხებს, სხვისა არ ვვემის

ტევრილი?

ამ აზრის გულსა დანერგვით ესდევნიდეთ ხულ-
მოკლებას, კალას დამჩაგვრელს და მისსა უსამართ-
ლობას; კალენიდეთ კაცის წამბილწველს უწმინდეს ან გაა-
რებას; კალენიდეთ კაცისა თაყვანის საცილის მაღლობას;
მიეცით ნიჭისა გზა ფართო, თაყვანისცემა—ლირ-
სებას; ნიჭის აძლევს ზენა მხოლოდ კაცს და არა ვარიშვი-
ლობა! კაცი ის არის, ეინცა არის ზეგარემო მაღლით ცხებული;
მის მხოლოდ ლვაწლი არა კეთილ, მით მხარე დამ-
შვერი გბული».

აქტის ვათავებისას იგალობეს რუსულად «დმერთო დაიცევ მეფე» და ქართულად «ლირს არს ჭემარიტად».

მათი უოცლად უსაძღვრელოებისას იმერე-
თის ეპისკოპოსი გაბრიელი ძლიერ გმბერფი-
ლი დარჩა მოწაფების ვალობით და კითხვით,
მათმა მეუფებამ ამ დღეს შესწირა დარია მო-
წაფეთა სასარგებლოდ ასი მანეთი, და და-
მბიძემიერ შესწირა მოწაფებზე მუქთად დასა-
რიგებლიდ თრასი ცალი მისგან გამოცემული
წიგნი «გელათის მონასტერი და ცხოვრება
მეფის დავით აღმაშენებელისა», და ფულად 5
მანეთი; დეკანზება იოსებ ჭეიძეილმა—10 პ.,
დეკანზება კიგაჩეიძეილმა 3 პ.; ამ სახწავლე-
ბლის საბატიო წევრმა პ. პ. შეიძერმა 5 პ.;
დავით მიქამზილმა 5 პ.; ეპარქიალური გან-
ცელარიის მდივანმა 3 პ.; მისმა თანამემწებ
ლეონტი ჩახანიძემ 3 პ. და სხვებმაც, ვინც
კი დაესწრო აქტზე, უკეთად შესწირა შეძლები-
სადაცეარიად. შეძლებ სიგელისა ეკოცლად სამდე-
ლელო და სხვა საბატიო პირი მიწვეულ იქნენ
ხედამხედველისაგან საუზმეტ სადაც უკეთა
სტუმრებმა ძმურიად გაატარეს დრო.

ამ დღესასწავლისას პირველ ადგილზე გუთ-
მობოთ ჩვენს გამოცემძი მისთვის, რომ ჩვენი
სასწავლებლების და ახალი თაობის აღზრდის
საქმე ჩვენში სწორეთ კოთი უდიდესი საქმეთა-
განია. არაუერი არ ახარებს სამდვრელოებას
და ჩვენ საზოგადოებას ისე, როგორც ის,
როდესაც ჩვენს სასწავლებლებში კეთილად და წარ-
მატებით მიღის სწავლის საქმე, და როდესაც
ამ სასწავლებლებში უფროსთა და მათ თანა-
მთსამხახურეთა მორის სუვერეს მშერი სიუგარე-
ლი და ურთიერთმორის თანხმობა. სამწუბა-

როდ, ზოგიერთი ჩვენგანი მეუფრო სეთა წეალობით ისე იქმ საქმე და ენებული, რომ ამ მეუფრო სეთა და მათ თანამოსამსახურეთა შორის ნიადაგ უთხნებობა იქმ, რასაც ხშირად არა სასიამოვნო მედგვი ჰქონდა ხოლმე. მავრამ აკერ, თითქმის, ოთხი წელიწადი სრულდება, რომ ამ სასწავლებელში სუვერენი სასურველი თანხმობა მეუფრო სეთა და მათ თანამოსამსახურეთა შორის. და ეს, რასაკეირველია, ძლიერ სასიამოვნო სამდგვდელოებისათვის. სხვა სასულიერო სასწავლებლებში უფრო საადვილოა საქმის წაეჭანა ზედამხედვლებისათვის, ვინემ ქუთასის სასულიერო სასწავლებლებში, სადაც თოთხმეტი კლისია, რომლებმაც სწავლობს 600-მდე მოსწავლე. ამისათვის ამ სასწავლებლის ზედამხედველი სწორეთ მაღლობის ღირსია, რომ ამ სასწავლებლის საქმე ასე წესიერად და კარგად მიჰყავს.

ჩვენ წინათვე ვამოვს თქვით ჩვენი აზრი, რომ ბ. ალ. იაროსლავი კარგად წაიკვანდა საქმეს ამ სასწავლებელში, რადგან ამ კაცმი კერძევდოთ ჩვენ ჭეშმარიტი ქრისტიანე კაცის გულს და არა ისეთ კაცს, რომლის სიტყვა და საქმე ერთეულობანეთს არ ეთანხმება. ამისთანა კეთილი გულის მექონე კაცს ვერთუნერი ვერ დააბრკოლებს, რომ მისდამი რწმუნებული საქმე კეთილი წარმართოს. და აი სწორეთ ამით აისწენება, რომ ეს კაცი სასწავლებლის ბევრ საქმეებთან ერთად ამ ახლად დაარსებული მმობის საქმეებსაც სატურველად მართავს და ბევრ დარიბ მოწავეს მემლებას აძლევს, რომ სწავლა შეიძინოს. თუ რამდენი დარიბი მოწავისათვის აღმოუჩენია მემწერა მმობას ამ კაცის წეალობით, ამას შეძევ ნომერში დაი-

ნახავს მკითხველი. სრული იმედია, რომ სამდგვდელოება ჯეროვანად დააფასებს ამ კაცის ძრომას და მმობის საქმეშიც აღმოუჩენს იმ თანავრმნობას, რომელსაც ეს კაცი ასე გულით სთხოვს მმობის წლიური ანგარიშის ბოლოს იმერეთის სამდგვდელოებას მათი შვილებისათვის უვ.

ქართლ-კახეთის ეპარქიის მთელი სამდგვდელოების ღებულობის კრებისა გამო ქ. თბილისში ოქტომბრის 8—14-დე 1893 წ.

(გაგრძელება *)

დღი ბაასი ვამოიწვია სამდგვდელოების კრებაზე წინადადებამ სემინარიის ეზოს ვერდეზე მდებარე ინტენდანტს ვოსალმი გუთვნილი სახლების მოპოების შესახებ. სემინარიის მართებლობა, დიდი ხანია, ცდილობს, რომ ცოტაოდენ ადგილი შეიძინოს სემინარიის ეზოს მახლობლად და საზოგადო ბინა ააგოს სემინარიის უკელა შაგირდებისათვის. 1889 წელშიაც იყო ამ სავნის შესახებ ლაპარაკი და კრებამ გარდასწევიტა სამდგვდელოებას გამოელო 40,000 მან., რომ ამ ფულებით ერთი სახლი მიეშენებიათ სემინარიისათვის და ამ სახლში სურდათ პარალელური კლასების გახსნა. მართალია, სამდგვდელოების კრებას გარდააწვეტილს სახლის აშენება, მაგრამ ძლიერ მოუფიქრებლად და წინდაუხელავად მოუვიდათ ეს საქმე. ამ სახლის ასაშენებელი ფული, ორმოცი ათასი მ. სანთლის ქარხანას უჩდა მიეცა. მაგრამ ის კი აღარ იყითებს, ჰქონდა ეს ორმოცი ათასი მანეთი სანთლის ქარხანას თუ არა, და ან იყო თუ არა ამ შენობისათვის ადგილი სემინარიის ეზოში?... ამ უგანასკნელ კრებაზე კი სულ სხვანაირად დაუკენეს კითხვა. სემინარიის მმართველობამ გამოუცხადა კრებას, რომ სემინარიის მახლობლად ინტენდანტს ტვილს სახლები ცარიელი რჩება და ადვი-

ლი შესაძლებელია, რომ მთავრობამ ეს სახლები და ადგილი სემინარიას დაუთმოს მუქთად ან მცირე ფასითო. ამიტომ საჭიროა ვითხოვთ, რომ ეს სახლები და ადგილი ეგებ მუქთად დაგვითმონო. კრებამ ერთმად აირჩია ამ საქმის შესახებ კომისია, რომლის წევრებად დანიშნული იქმნენ სემინარიის რექტორი, და დეკანოზნი დამბაშიძე და იუნიცეპტორი. კომისიას უნდა შეედგინა ადრესი სამღვდელოების მხრით და მიერთმია მთავარ-მართებლისათვის ექსარხოსის შეამდგომელობით. კომისიამ ადრესი შეადგინა და ხელმოწერილი წარუდგინა მათ მეუფებას.

დეპ. ს. დავით ავაგოვა. ადრესი წარდგინდება რიგისამებრ, მაგრამ ჩვენ მაინც ნუ მოვშენოთ ზრუნვას სემინარიას მახლობლად სახლის ადგენების შესახებ. სამხედრო წოდება დაგვითმობს თუ არა ამ შენობებს მუქთად, ეს დმრთმა უწყის. საჭიროა უკრადლება მივაქციოთ, რომ ჩვენი სემინარია ძლიერ დაუხერხებელ ადგილია არის. ალვარათ კითხვა, რომ სემინარია გადატანილ იქმნეს დიდუბისკენ, სადაც ადგილიც იძოვდება და ბევრად ემჯობესად მოიწყობა სემინარია. ვსახოვთ უწმიდეს სინოდს 600 ათასი მან. სესხად. ამ ფულით ჩვენ სემინარიისათვის გავაკეთებთ შვენიერ შენობას. ძველი შენობა სემინარიისა მაღაზიებათ შეგვიძლია გადავაკეთოთ და ეს შენობა იმდენ ფულს შემოიტანს, რომ სინოდის ვალიაც გარდაგვიხდის და სახლებიც ჩვენ დაგვრჩება.

ერთი დეპუტატის განცხადება. ამ შენობაში კიბეების გასაკეთებლად ითხოვეს თუთხმეტი ათას მანეთამდე და ამდენი ფულების დახარჯვას, რასაკვირველია, ემჯობინება, რომ ასე მოეწუობა. დეპ.

დეპ. დ. ლამბაშიძე. მამა დავიდოვის აზრის განხორციელება რომ შეიძლებოდეს, ამის წინააღმდეგი ვინ იქნება? სიტუაცია ბევრი რამ შეუძლია კაცმა სთქვას, მავრამ უპირველეს იმას უნდა მიაქციოთ უკრალება, შეიძლება თუ არა ჩვენი სიტუაციის და აზრის სისრულეში მოუვანა? სიტუაცია ადვილი სათქმელია გისესხოთ სინოდის 600 ათასი მან, და სინოდს კი აღარ კითხავთ, აქვთ თუ არა მას ამდენი ფულები თავისუფლად? დარომ კიდეც ჰქონდეს, გრაფებს თუ არა?

ძლიერ ადგილი სათქმელია: ეს დანდებული შენობა სემინარიას მაღაზიებით გაგრძინდათ და იმდენ ფულს შემოგვიტებს, რომ სესხსაც გარდავისდოთ და შენობაც მუქთად დაგვაჩება. ეს სიტუაცია მომავრნებს ერთ მოხუცებულზე ნათქვამ არავს და ენუქას ანდერძს. სად გვაქვს ჩვენ მაგლენი მოხერხება და გამჭრასახობა. აბა, თვალი გადაავლეთ იმ შენობებს, რომელიც სასულიერო წოდებას ეკუთვნის. ბევრი შემოსავალი შემოაქვთ ამ სახლების? ერთი ზოდი სახლი უფლ ტურკულაა გაუქმებული თფილისში და პატრონი არა ჰყავს, რომ იგი შეაკეთონ და ჯეროვანად მოიხმარონ. სამასწავლებლი გამგეობის ხელში რომ რუსი ეს სახლი, გაშინ მალე გამოხახვენ წუაროს ეპკლესიების შემოსავალიდამ მის გასაკეთებლად, მაგრამ ჩვენგან შეკრებილ ფულს ფასი არა აქვს! სინოდმა რომ მაგლენი ფული გვასესხოს 5%, წელიწადში 30,000 მ. მარტი სარგებელი უნდა ვიხადოთ, და თუ გინდა ამის ნახევარიც იყოს, მაინც ვის შეუძლია ამდენი ფულის გადახდა? ამ სარგებელს დაუმატეთ აგრეთვე უოველ წლობით სახლის შესაკეთებლად და დასაზღვევად საჭირო ფულები, უკანასკნელი წელიწადში 30 ათასი მანეთი წავა და საიდგან გინდათ ეს ფულები შეავსოთ? სინოდის ფინანსის მდგრადრეობა შემდეგ კონვენციის შემოღებისა მაინც სულ სხვა მდგრადრეობაშია: ჩემის აზრით, თუ შექალებელი იქნება, ვეცადოთ ვიშვოთ კერძო პირი და ან ამხანაგობა, რომ ამ ჩვენ სემინარიის სახლებში ჩვენგან მიცემული გეგმით აგვიგოს შენობა დადგუბეში და რაცა ჩაგვაბარებს დამზადებულ შენობას, ჩვენ ეს შენობა დაუტეოთ და ახალში გადაიდეთ.

დეპ. ს. იუნიცეპტორი. მე არ ვეთანხმიები მ. ლამბაშიძის აზრს, კითომ სინოდი ვერ შეიძლებს 600 ათასი მანეთის ფულების სესხებას. სინოდის, არ მჯერა, რაღაცა 600,000 მანეთის სესხება გაუჭირდეს. სამდვლელებამ უსათუოდ უნდა ითხოვოს გაბეჭდულად და სრული იმედია, რომ ამ ფულის ასესხებს მთავრობა.

დეპ. დ. ლამბაშიძე. ეს ფულების სესხების შესახებ ბაზაზი და სხვა და სხვა მოსაზრება ამათა და ფუჭი. მე მოგახსენებთ, გამანო, რომ ამ კითხვის ასე აჩერებულად გარდაწუკეტა არ შეიძლება.

თუ მაინცა და მაინც არ მოიშლით ამას თხოვ
თს, მაშინ თქვენ მიუცილებდეთ უნდა გეონწესთ
წინდაწინ მოპოებული ადგილი, უნდა იყოს
შემდგარი ახალი შენობის გეგმა, რომ კაცმა
შეიტურს, თუ რამდენი ფულია საჭირო ამ შე-
ნობისათვის. თქვენ ჯერეთ არც კი გიფერიათ
ამ საგანზე და ფულების სესხების შესახებ კი
ურჩნალს ადგინთ!....

თამდენიმდე დეპუტატნი. ქურნალი შევაზღი-
ნოთ, ფულები ვისესხოთ და უვალაფერი მერე
შედგება, მერე მოუწუაბა...

კრებამ ერთხმად დადგინა ურჩნალი შე-
სასი ათასი მანეთის სესხების შესახებ და ხელიც
მოაწერა.

და და და— მე დმერთმან კეთილი ინებოს
და თქვენი აზრი ასრულდეს, მაგრამ იქნება
თქვენ რომ ამ ნასესხები ფულებით სემინარიას
აშენებთ დადგუბეში და ძველ შენობას. მაღაზიე-
ბათ გადააკეთებთ, მე ცოცხალი აღარ ვიქმნე
გთხოვთ ცუდათ ნუ მომიგონებთ, რომ
ტუქილად გიძნელებდით ამ საქმეს და ადგილი
ჩასარულებელი კი უფილა!...

ახალი აშშები და შენიშვნები.

ჩმები ისმას, რომ ჩენი იბრალის სასულიერო
სემინარის შესახებ წარადგენილი საქმე უწინ. სინოდში,
უკვე დაბრუნდა უკან. იმერთა, ამ ცოტა ხნში
ამ საქმის შედეგი გამოცხადდება.

უცელამ უწინის, რომ ჩენ ში გამოიდის საყმაწვი-
ლო წახატებისანი ეურალი «ჯეკოლი». ძლიერ სამ-
წუხარულა; რომ ჩენი სამღვდელოებაში ამ ეურ-
ნალის ჯერ კალევ უერ გაიკალა გზა. ეურალი
წლიურად ღირს ათხი მანეთი და ნუ თუ ამ ფულის
შეძლება არა აქვს ჩენს სამღვდელოებას, რომ თავის
პატარა შვილებს არ მოაკლოს ამ შევრიერი ეურა-
ლის კითხვა?

როგორც შევიტუეთ, გ. აკად წერეკილ, შე-
ლიახლად მიუღია უმთავრესი მონაწილეობა ეურალს
«კუალში».

იმერეთის ეპარქიალური სამრევლო სკოლების
სამასწავლებლო რჩევამ სამრევლო სკოლებისათვის
გამოიწერა ჯერ-ჯერობით 50 ცალი ეურნალის
«ჯეკოლისა». ძლიერ კარგი იქნება, რომ სხვა სა-
მასწავლებლო რჩევებიც გამოიწერილენ ამ ეურნალს
სამრევლო სკოლებისათვის.

* *

შუაგულ ციმბირიდგან ჩენი ქეყნიდგან გაგ-
ზავნილი პირი გეოთხოვენ გაუგზავნოთ მათ ჩენი ი-
გაზეთი და ქართული წიგნები. ჩენ დიდის სამოვ-
ნებით ესრულებთ ამ პირთა თხოვენს. კარგი იქნება,
რომ ეს პირი ერთ საზოგადო წიგნთ-საცავს დარ-
სებდნენ, მაშინ ყველა ჩენი ქართული გაზეობის და
წიგნების გამომცემლებიც გაუგზავნიან მათ თავიანთ
გამოცემას.

* *

საჭილაო-ნაჩეტერულის სამრევლო სკოლის მას-
წავლებლის ოფიცი გოგოტიმეილისაგან ჩენ მივი-
დეთ შეძლევი წერილი:

«დ. ჩელაქტორო! უმოაჩილესად ვოხვეთ, ნება
მიბოძოთ, რომ თქვენი პატივცემული გაზეთის შემ-
წეობით უცულითასეს მაღლობა გამოვუტადო იმ
პირთ, რომელთაც ჩემგან საჭილაო-ნაჩეტერულში (დ.
სამტრედიას მახლობლაც) საკუთარის ხარჯით დარ-
სებულს საეკვლესიო-სამრევლო სკოლის აღმიატებინეს
შემწეობა უფასო წიგნთ-საცავს დასარსებლად. უკა-
ნასკელი, თვითი საჭილო სასწავლო სახელმძღვა-
ნელოთა, უნდა შეიცავდეს სასულიერო შინაარსის
წიგნებსაც, რომელთაც უცაბოდე წაიღიბენ წასკით-
ხად ბიბლიოთეკიდამ. ი. შემწირეველთა სიაც: თ.
ნეტორი ინალიშვილმა შემოსწორა 3 მ., ნოე კორ-
მაიამ 3 მ., მიხეილ კვინიხიძემ 3 მ. ლირებული წიგ-
ნები, ონისიერ ნიკოლაიშვილშა 3 მ. ლიო. წიგნები,
სოლომონ კორმაიამ 2 მ., ალმასხან ალანიამ წიგ.
2 მ., ანდრია ლოროვამ 1 მ. 60 კ., ნიკოლოზ
სტურუამ რეა აბაზი, კოსტ. შენგელიამ 1 მ. 50 კ.,
გიორგი თოფურიძემ 1 მ., იოანებ ღოლაბერიძემ 1 მ.,
გვლ. ქაჯაიამ 1 მ., კ. ნანეიშვილმა 1 მ., დ. გაბა-
შვილმა 1 მ.. ბ. კაგაბაძემ 1 მ., სტ. სტურუამ 1 მ.,
კ. ვაჩეიშვილმა 1 მ., მესხმა 1 მ., ტ. ასა—მა 1 მ.,
დ. ქაგარევმა 1 მ., კ. რუხაძემ 1 მ., ნ. ჭ—მ 1 მ.,
ს. კილურაძემ 1 მ., ი. გრიგოლიამ 80 კ., დ. სამ-
ნიკოვმა 50 კ., ბ. ას—მა 50 კ., ნ. აგ—მა 50 კ.,
ს. ბოკერიამ 50 კ., ნ. ბრელიძემ 50 კ., სტ. ქ—მა
50 კ., ს. მაქაძემ 50 კ., კ. ბახტაძემ 50 კ.

* *

ს წ ა ვ ლ ი დ ა მ ე ც ნ ი ე რ ე ბ ა ქ რ ი ს ტ ი ა უ ნ ი დ ი ა ვ ს ა რ ე ბ ა ს ა დ ა კ ე თ ი დ ი ა უ ზ ე რ ე ბ ა ზ ე დ .

ღრ თ დ ა ს ა უ კ უ ნ ე .

ს ე ჭ ს ა რ ხ ა მ თ ა ვ ა რ ა კ ე ბ ი ს კ უ დ ი ს ი ს დ ა მ ი ტ ი დ ა ს .

რომ ჩეგნს წინ გამოცხადდეს გულის საიდუმ-
ლონი კაცთა, მათი ღაფარული გრძნობებით და
განხრახულებით, მათი სურეილებით და მისწრევებით,
რა საოცარი სანახაობა წარმოუდგებოდა ჩეგნს თვალი !
რამდენ სხვა და სხვა აზრებს, გრძნობებს, სურვილ-
თა და იმედებს პა: დავს კაცის გულში ერთი წლის
დასასრული და ახალი წლის მოლოდინი ! ზოგი
ეთხოვებიან წარსულს წელს, როგორც შევიტარს,
რომელმაც შინიკა მათ სიხარული და კეთილდ
წარჩათა მათი ცხოვერბა; ზოგი, როცა წარსული
წილის დასასრულს მიახწევენ, მიმედ ამოიხსრავენ,
როგორც ამოიხსრავს ხოლმე დალლილი მოვზარი,
როცა თვეის მხრიდამ მოიხსნის მძიმე ტყირთს. ზოგი
მოუთმენლად ეგებებიან ახალს წელს და ფიქრობენ,
რომ ახალი წელი მათ მოუვლენს ახალს სიხარულს
და ბელნიერებას ძეველთა სამაგიეროდ, რომელთაც
მათ თვეი მოაბერა; ზოგი წინ და წინვე უიმედობის
თველთ შეცცერიან ძეველს წელს და დალლილნი
ყოველდღიური ნაკლულებანგბოთ და საჭიროებით,
ზორმით და ზრუნვით, ახალი წლის აღმომავალ
განთიაღის ხედვენ ზავ ღრუბელს, რომელც უქადის
მათ უფრო მოხერებულ მწერანებას და სიღარიბეს.
სამართლიანია თუ არა ასეთი იმედები და წინაგრძნო-
ბანი ? საფუძველიანია თუ არა იმედი პირველთა და
უიმედობა მეორეთის არა; რადგან არც პირველ თდა
არც მეორეთ არ უწყიან, თუ რა მოცლის მათ დღეს,
მით უძეტეს არ უწყიან, რას მდანიქებს მათ ახალი
მომავალი წელი. მეორეს მხრით ორივე მხარემ კარ-
გად უწყის, რომ წარსული სიხარული და მწერანება
სამუდაშობ ჰქებიან და დავიწყებას ეძლევიან, ხო-
ლო დაგიდგება ახალი სიხარული, ანუ მწერანება,
ეს არაერ ვიცით. ყოველივე წარმავალი სურცხლობს
ძხოლოდ ჩეგნს ვონებაში; ყოველივე მომავალი —
ჩეგნს განუსაზღვრელს მოლოდინში. ეისთვის არის
სასიამოენ მოგონება ? იმისთვის, ვისაც შეუძლია
მოიგონოს წარსული დამზევებული სულით, გუ-
ლის აულცვებლებდ, სიჩილის შეუწერებლად, ვის-
ჯდაც ეს მოგონება არ აღმოჩენს მეცნიერებასა,

სინაზულის. გისთვის არის საშიშო მომავალი
ჩეგნ ელის მომავალს შტკუც სარწმუნოებით და
დაიმედებული დეთის განვებულებას ზედა და ვისაც
ცხოველი იმედი აქეს დეთის შადლისა და სიბრძნისა
და უნც იქცევა ზეციურიმამის მცნებისამერი, რომლის
ხელთა შინა კომიტეტით ჩეგნ და მოელი ქვეწიე-
რებაც უკველივე თავისი წარსულით და მომავალით.
სასიამოენ წარსულის შენიშვნის წავითხვა,
როცა შენს დღიურში აღნიშნულია კეთილი საქმენი,
შემინდა და უნგარიც განხრისულება, კეთილი და-
ლეთის სასიამოენ სურეილი. სასიამოენი თა თეალი
გადავაელოთ მომავალს, თუ ეს მომავალი არ ერ-
ქადის მართლმსაჯული დეთისავათ სიჯელს, არამედ
ბრწყინაეს დეთის შადლის და სიუკარულის ბრწყინ-
ვალე შუქით. ერთის სიტყვით, რას ვეიქადის ჩეგნ
წარსული, ან მომავალი წელი, ეს შახხვა დამოკი-
დებული, თუ როგორ ემართობოთ ჩეგნ დროს — აწმ-
ების. სასიამოენია ღრ თ მათოებს, რომელიც ხმა-
რობენ მას საკეთილდღეოდ, თავისი სულის გასაწ-
მენდლად და წარსამატებლად, თავის მოუვასთა საშ-
სახურებლად, სასიამოენიდ ღეთისა თავის ქრისტია-
ნული სარწმუნოების და სიუკარულის საქმებით; მათ
არ აწუხებს წარსული და არც მომავალი აშინებს.
საშიშია ღრ თ მათოებს, რომელიც ცუდად ხმარო-
ბენ მას თავის სახარალოდ და დასაღუპავებდ; მათ-
ების სამძიმოა წარსულის მოგონება, მომავალის წარ-
მოდგრაც უიმედობას ჰბადაეს მათში. გაშ ეისგან
უნდა ვისწაელოთ, იკითხავთ თქენ, თუ როგორ
უნდა ეცხმაროთ ღრ თ ჩეგნ საკეთილდღეოდ ისე,
რომ წარსული არას ღრ თ სამწუხარო არ იქნებს
ჩეგნთვის და არც მომავალი ღრ თის გეეშინოდეს ?
ყოველივე ესე საუმჯობესოა ეისწაელოთ თეითონ
ღრ თისავათ, რომელიც, დეთის წინასწარმე-
ტუკელი დავითი: « დღე დღესა უწყებს სიტყვას, და
დამე ღამესა მიუთხოობს მეცნიერებასა », და ისეთი
ენა არ არის, რომელზედაც გაუგებარნი იყენებ სი-
ტყვანი მათი.

მართლაც რა არის ღრ თის მხრით იგი
რის განცხადება საუკუნო დეთისა. ღრ თ მდგომა-
რეობს ყოველი არსების მოძრაობაში და ცდლილ-
ბაში. ვინ ახდენს ამ ცდლილებას ? ყოველის შემძლე,
რომელმც რქეა და იქნა, ბრძანა და შექმნა. რო-

მეტოც შეიცავს უოველივე წარმაგალს და ცეკვებითს უფრალებელ გაწყობილ წესიერებაში? უველგან მყო; რომელიც განავებს უოველივე თავისი სიტყვის ძალით. რომელიც წარმართავს უოველივე მოძრავს თავის ღრმაზე დასასრულადმდე? უოვლად მრავალი და უოვლად მოწყალე, რომელმაც შექმნა უოველივე წანით და საწყალით, რომელიც უწევენებს გზას უარსკვლავთა, და რომელიც მოსავს ფზინველთა და ველთა, რომელიც აღაპყრობს თავის მოწყალე ხელსა და განაძლებს უოველთა სიყვეთითა თვისეთა. ამ სახით თუ შევხედავთ უოველივე არსებულს, უოველივეში და უველგან ჩვენ ვიხალავთ უველგან მყოფს და უოვლის შემოქმედს ღმერთს; „რამეთუ უხილავი იგი მისი, დაბაჟებითოვნ სოფლისათ ქმნულთა მათ შინა საცნაურად იჩილების და სამარადისო ივი ძალი მისი და ღმრთავება“. მაშ პირველი დანიშნულება ღროისა მდგომარეობს მასში, რათა უხედავდეთ უოველოვის, ჩვენშიაც და ჩვენს გარეშეც უოველგან მყოფს და უოვლად შემძლებელს ღმერთსა და მუდამ ვიღოდეთ მის წინაშე, წმ. დავთის შაგალითასაცბრ, ვიყვნეთ უოველოვის ღვეთის უხალავს, მავრამ საგრძნობელს უველგან მყოფაბის ქვეშე, მიგვაჩნდეს ჩვენი თავი მუდამ მის უოვლად მპყრობელ ნების ქვეშე, უოველს წამს ვიქმნეთ მის უოვლად მხილველი მხედველობის ქვეშე. საჭიროა მიგანეოთ ჩვენი აზრი, ჩვენი გულის ზრახვა, ჩვენი სურვილი, ჩვენი გული, ერთი სიტყვით — უოველივე ჩვენი სულის ძალი, — ვიქმნეთ მუდამ ღვეთის პირის წინ. რასაც კი მოქმედებ, იმოქმედე უფლის წინაშე; რახედაც უნდა ფიქრობდე, იფიქრე უფლის წინაშე; რაც უნდა ისურე, ისურე უფლის წინაშე; რაზედაც უნდა ხარიბდე, იხარე უფლის წინაშე; რაზედაც უნდა მწუხარებდე, შენი მწუხარება აცობე უფალს.

სად არის დასაწყისი და დასასრული ღროისა? მარადის უოფნაში. ღრო არის შეგანი რომელიმე ნაკადულისა, რომელიც გამომდინარებს საუკუნედვან და რომელიც ხელახლად ერთვის საუკუნეს. მასზედ იგივე შეგვიძლია ვსთვათ, რაიცა ჩქვა უფალმა თავის ქვეყნად ღროებით გამოცხადებაზე: ღვეთისაცან მოვალს, და ღვეთისადმი წარეალს. ამისორის ჩვენც, რომელიც ღროით ცრხოებთ, უნდა მიესდიოთ ჩვენი მოქმედების ღრას, მის მიმღინახებას — წარე-

მართოთ უოველივე გონება, სურველი, და ჩვენი გრძნობანი, წარმართოთ უოველივე ჩერი საქერბა და განზრახებანი საუკუნოებისაზი. აქ უოველივე ცხადება, მოქმედებს და იცვლებს; და საუკუნო არა რა არს, რაზედაც დაცეკილდება ჩვენი გონება, როთა დაკმაყოფილებულ იქნება ჩვენი სურველი, რამაც დამშეგიღოს ჩვენი გული. ძლიერ ასწრებ იგემო რაიმე სიმიგრება — იგი უკვე წარედა, და გულში კაზვე უფრო მომეტებული სიცარიელე აჩება. ძლიერ შეხვდები რაიმე სიხარულს; ხალო მან უკვე გაირბნა და რჩები ხელახლად უწინდელ მწუხარებასა შინა. ძლიერ ალაქებდ შენ საუნჯეთა, რათა რქეა სულისა შენსა: «სულა! გაქნა მრავალი კეთილი, დაუნჯებელი მრავალთა წელთა; განისვერე, სჭამე და ჰუ და იხარებდ». და აგრ უკვე ისმის საშინელა ხმა საუკუნო მსაჯულისა: «უგნურა! ამას ღამესა მიგიღონ სული შენი შენგან; ეკე რომელ მოიმხადე, არა იყოს? ასე იცულება ქვეყნიერების სახე და ერთხელ კი სრულებით შეიცვლება: «ახალთა ცითა და ახალსა ქვეყანასა მსგავსად აღთქმისა მასისა მოველით, რომელსა შინა სიმართლე დამკურდებულ არა». ამ ახალ ცითა შინა და ახალსა ქვეყანასა ზედა არის ჩვენი საუკუნო სიცოცხლე; იქ ზეციური მამის სავანეთა შინა სული ჩვენი განისვენება ამაზ წუთისთვლის უოველივე შრომისა და ზრუნვისაგან; იქ დაფარულ არს ჩვენთვის საუნჯენი, რომელსა «იგი მჰარევი არა მიექლები», არცა მღილვან განვირუნის»; იქ ელის ღვეთის რჩეულთა უცალებელი, საუკუნო დიდება, ისხარული და ნეტარება. მაშასაზე ჩვენმა გონებამ ამა ქვეყნიური და ამათ წუთისთვლის ზრუნვას თავი უნდა განებოს და მიისწავლებიდეს ზეკიური მაპის საუკუნო საენეთა შინა. ეს საუკუნე საუნჯე უნდა მაპიურას ჩვენმა სულმა! უოველი გაჭირების და ამათ წუთისთვლის ზრუნვათა ღროის ჩვენ მუდამ უნდა გეხსოვდეს ეს საუკუნე საუნჯე და ნეტარება.

რა თეისება აქვს ღრას? იგი გარბის დაულალუად და შეუნიშნეად; ტყუალა კი არ ამპობენ, რომ ღრო მიურინავსა; ჩვენც ხშირად ვიტუეთ ხოლმე: კალეც უკრ ამინევ, როგორ გარბის ღრო. ამიტომ საჭიროა, რომ არც ჩვენ ჩამოგრჩო მას უკან, არ

უნდა დაგვაკიშტყდეს, რომ მუდამ ვადგეთ კეთილ საქმეს, მჩათ ვიყენოთ თავი დაუტდეათ სარწმუნოებისა, სიმართლისა და სიყვარულისთვის; უნდა ვეჩქარებ ბოლეთ, რაც შეიძლება, მომცრებული საუნჯე მოვიპოვოთ ჩენი ის სუკუნო ცხოვრებისთვის, წინააღმდეგ უგრძხვევაში, დრო გაიჩინებს და ჩენ კი ცარიელნი დაერჩებით: ქორწილი დაიწყება და მოვალს სიც, და ჩენ, როგორც სულელნი ქალწულნი, დაუუწყებთ ძებნას ზეთსა, მაგრამ ვეღარ ვიშვეთ. ვინც მჩათ იუნება, ის თან შეკვება სრდეს სახლში, ჩენ კი გარეთ დატებიშვილი; ბეკრს უფასხმებთ და ღალადეკუოფთ: „უფალო, უფალო, განვერდე ჩენ!“ მაგრამ იგი გვერუების ჩენ: «არა გუნი თქვენ, განმეშონენით ჩემგან! ილერებით თქვენ», გრიგორ მოციქული, რათა ისახვებლით დროით და მოიპოვოთ კეთილი საქმები. რამდენათაც უფრო ესარგებლებთ დროით, მით უმეტეს მომეტებულ ჯილდოს მოვილებთ და ჩენი ცხოვრებაც უფრო უსრულები და ნეტარი იქნება მომარტინი ცხოვრების დროს. წინააღმდეგ, რამდენათაც მომეტებულ დროს დაგვარგეთ უსაქმობაში დაუ უსარგებლო საქმებზე, მით უფრო სასტიკ განსჯას მავილე მარტლი უდლისაგან, რომელ მაც მოგვანიჭა ჩენ დრო, რათა ვქნათ კეთილნი საქმენი და ამით განკიმზალოთ საუკუნო ცხოვრება. და რა სანუგეშო იქნება თერთონ ჩენთვის სიკვდილის მოსახლეების დროს იმ მრავალ განსაცდელთა მოგონება, რომელთაც ლეთის მაღლით უკვე ესძლიერ, მოგონება იმ მრავალ კეთილ საქმეთა, რომელნიც ჩენ მოვერქედეთ ლეთის საღილებლად, მოგონება იმ მრავალ მწარე ცრებლთა, რომელნიც ჩენ დავლეარეთ ჩენი ცოდვების მოსანანებლად, მოგონება იმ მწუხარებათა და უბედურებათა, რომელიც მაგველინა ჩენ ლეთის სიყვარულისა გამო, რათა გამოვეცალეთ აქ, რომ განწმენდილნი წარქსდგეთ მის წინაშე. პირიქით, რა საშიშოა სიკვდილი იმისთვის, რომელსაც თავისი სიცოცხლე განუტარებია ცოდვებში და ცუდ საქმებში! სხვას ჩას უნდა მოელოდეს იგი, თუ არა წარწერედას?

რა თვისება აქს დროს? იგი მიმდინარეობს წესირიად. საათები, დღეები, ითვეები, წლები, საუ-

კუნოები მიმდინარეობენ განუწყვეტლად და რიგორ გობით. ყოველივე ში სჩანს სახტიკა წესირება. აქ უკელავებერი თავის აღილებები და თავის ფარგალშია შემოხლულული: დღეს დღეს არ შეუძლია შეაჩეროს გუშინ დელი და გუშინ დელის არ შეუძლია დღეს აღგილი დაიჭიროს. საჭიროა, რომ ჩენის ცხოვრებაზია ასეთი წესირება იქმნეს დაუკლი, რომ ჩენი საქმენი სწარმოებლენ ასეთივე წესით და თავის ღროშე. ყოველ დროს უნდა ჰქონდეს თავის საქმე მიჩრებული და ყოველს საქმე თავის ცრო, დიდ საქმეს მომეტებული დრო და ნაკლებს ნაკლები. არც ერთი საქმე არ არის უდიდესი და უსაჭიროები სულის ცხოვრებაზე და ნეტარი სასუფეველის მოპოვებაზე, ვინაიდგან ამაში მდგომარეობს ჩენი ცხოვრების მიზანი: ამ უმთავრეს საქმეს ჩენ უნდა შევსწიროთ მთელი ჩენი სიცოცხლე. ამით ის კი არ გვინდა ესთქვათ. რომ ამის გამო ჩენ, ეთომც, უნდა მივატოვოთ ყოველი საქმე როგორც სახოვალო ისე შინააური, არამედ ის, რომ ყოველი ჩენი მოღვაწეობა როგორც სახოვალო ისე კერძო აღჭურვილი იქნება, რათა ესიამონებით ღმერთისა და იმედი გვქონდეს, რომ ღმერთი ზრუნავს ჩენთვის. ამიტომ ყოველი საქმე უნდა დაეკიშვოთ ლოცვით და ვაწარმოვით არა ისე, როგორც ჩენ გვსურს, არამედ როგორც მოითხოვს ლეთის სჯული, შევასრულოთ იგი არა ჩენი თავმოუკარების დასაქმესყოფილებლად, არამედ საღილებლად და ლეთის.

რა არის დროის უმთავრესი კანონი? იგი მიღის შხოვლოთ წინ და უკან აღარ ბრუნდება. ეს არის ნაწერი რომლის ფურულები ბრუნდებან ერთიერთმანეთის შემდეგ ჩენგან უხილავის ხელით. ჩენ უკელავება გვაქვს, ჩენი გონებით, სურვილით, გრძნობით, ჩენი სიტყვებით და საქმეებით ჩავსწეროთ რამ ამ წიგნში, მაგრამ არ შევიძლია უკან დავაბრუნოთ არც ერთი ფურულები, არ შევეძლია გამოესცალოთ მასში არც ერთი ასო: რაც კი თავის ღროშე მოეიქმედეთ ჩენ, ის უკვე წავიდა და მიმალა ჩენგან ღროსთან ერთად, იმისი უქან ღაბრუნება, ანუ შეზღა არავის არ შეუძლია. ამგვარად წარსული წელი

ჩეენთვის აღარ იქნება! იგი წარგვადა და თან-გაიკულია ყოველივე ჩეენი საქვენი. ამ წელში არის და-სატული სრული სურათი ჩეენი მთელი წლის ცხოვ-ობისა. მას ში აღნიშნულია ყოველი ჩეენი მოქმე-დება, ყოველი ჩეენი სურვალი და ყოველი სიტყვა, რომელიც კი აღმოვიდა ჩეენი პირადებან. ყოველივე ეს თან წარმო წარსულმა წელმა; ყოველივე ამას წარუზგენს ზეციურს მაშის; ყოველივე ეს დაფარულ და აღბეჭდილ იქმნება ქრისტეს საშინეულს განსჯამ-ზოს; მაშინ კი ყოველივე გამოცხადდება ანგელოზთა და კაცთა წინაშე. რა მოკვერვა, თუ ეს წიგნი აღვ-შილი იქნება ჩეენი უსჯულოებითა? ნუ თუ არ შევ-თხოვთ მაშინ მოებს: გარდამოხდით ჩეენზე და გო-რიკებს: დაგვერცარეთ ტახტსა ზედა მჯდომარე მეუ-ტისგან! მაგრამ წარსულის დაბრუნება არ შეიძლება. მხოლოდ ერთად ერთ მოწყალებას ჩეენი გამომხსნე-ლისას შეუძლია დაფაროს ჩეენი ცოდვები; მხოლოდ მის კამატები დელს სისხლს, რომელიც განთხეულ იქმნა საცოვნებლად კვეყნისა, შეუძლია განსწინდოს უს-ჯულოებანი ჩეენნი; მხოლოდ მის სიმართლეს შეუძ-ლია დაპუაროს ჩეენი უსამართლოებანი. მხოლოდ მის ყოვლად შეძლებლობას შეუძლია წაშალოს ჩეენი ცხოვრების წიგნში ჩაწერილი უსჯულოებანი, ვიღრიების ღვთის გართლ-მსაჯულება არ აღბეჭდავს ამ წიგნა ჩეენი საკუდილის დღეს. ამიტომ მივიქცეთ მისგან—ჩეენი გამომხსნელას და უფლისადმი—შე-მუსრული გულით; მისადმი მივიქცეთ სინანულით და ცრემლით; მისადმი ვლალადეჲოთ; «უფალო, გვაც-ონვე ჩეენ!» შენ მხოლოს გაბარებო ჩეენს სიცაც-ხლეს, შენ განდაბთ ჩეენს ბეჭს: ჰერენ ჩეენში, რაც კი სურა შენს უსალლეს სიბრძეს, რასაც კი დაინა-საეს სასარგებლოდ ჩეენ და შენი გამოუთქმელი სახო-ება! «მამაო ჩეენო», ყველაფერში და ყველგან კიყოს ნება შენი!

*

ქართული პლაკტივები

წმინდისა დგომისმშობლისაგან ქაცია ცოდვიდოა სა-ტანჯებოა ხილება.

(გაგრძელება *)

ჰერქა მიხაილ: ყოველად წმიდაო, წარვედ და იხილე, საცა იგი მღვდელი იტანჯებიან. ალიხილნა და იხილნა მღვდელი ზემოკიდებული და ცეცხლნი თხემისაგან მათისა გამოვიდოდეს. ჰერქა ყოველად წმიდამან: რა არს ცოდვა ამათი? მიუკო ანგელოს-მან: ესენი არიან საღმრთოსა მსხვერპლისა შემწირ-ველნი, რომელნი საშინელთა საყდართა ლეთისათა სდგანან და ოდეს დაანაწილებდენ საღმრთოსა ტა-რიგსა გაუფრთხილებლად და ნაწილი ქვე სცეირდათ, რომლისა მიხედვითა საყდარი დეთისა იძროდა და კვარცხლბეკი ფერხთა მისთა ძრწოდა, ამისთვის ეს-რედ აქა იტანჯებიან.

იხილა სხვასა ადგილსა ყოველად წმიდამან კაცნი ცეცხლსა შინა მყოფნი და მხეცნი ფრთოეანნი ჰერქემდა მათ, რომელსა ედგა თავი, ვითარცა ალი ცეცხლისა. ჰერთხა ყოველად წმიდამა ანგელოზსა: რა არს ცოდვა ამათი? ჰერქა ანგელოზმან, ესენი არიან დიაკონნი, რომელნი წმიდასა სახარებასა და წერილთა და მოძ-ლობებათა ეკკლესისათა აღმოიკითხეიდნენ და არა ჰერთხმდენ მოწინილებასა ეკკლესისა და მღვდელთასა და არა ერიუბოლენენ ცოდვესა. ამისთვის აქა ესრეთ იტანჯებიან. განვიღენ მიერ: სხვასა ადგილსა და იხილნა მუნ, რომელნი სხდეს კეცხლსა შინა. ჰერთხა ყოველად წმიდამან: ეინ არიან ესენი, ანუ რა.. არს ცოდვა ამათი? ჰერქა მიხაილ: —ესენი არიან, ყოველად წმიდაო, რომელთა მოციქულთა და მღვდელთ-მოძ-ლობებათა ხატი ემოსა და იუვნეს ქვეყანას ა ზესა მღვდელ-მთავრად და ეტყოდენ მღვდელნი და ერის-

*) ა. 『მწერება』 № 19, 1893 წ.

განი გვაკუროთხე, უწმინდესო მეუფეო, და იგინი იყვნენ არა თუ წმიდა, არამედ არა წმიდა იყვნენ და ცოდეითა შეგინებულ და არა წმიდებითა შემწივლებულ და არა ეიღოდონენ გზათა სიმართლი. სათა, აწ აქა იტანჯვებიან. იხილა ყოვლად წმიდამან სხვასა ადგილსა დედაკაცნი მოკიდებული, ალი ცუცლისა გამოვიდოდეს პირისა მათისა და სულთქმით ტიროდა და დაწევდოდა. ჰეითხა ყოვლად წმიდამან მთავარ-ანგელოზსა: ეინ არს ესენი, ანუ რა არს ცოდეა ამათი? ჰერქა მიხაილ ყოვლად წმიდასა: — ესენი არიან სამღვდელო კაცთა მეუღლენი, რომელთა შემდგომად მიცვალებასა მეუღლეთა მათთა მღვდელთასა თვისსა მეუღლესა არა პატივისცეს ჭეშმარიტებისა ქვრივობათასა და ადრინენ და სხვა ქმარი შეირთვეს, ამისთვის აქა იტანჯვებიან.

იხილა სხვასა ადგილსა მათივე სატანჯველითა დიაკონთა ცოლი და სხვასა ადგილსა სიმრავლე მამათა და დედათა ცუცხლისა შინა მდებარენი და ცუცხლი და მხეცნი სჭამლენ ხორცია მათთა. ჰერქა ყოვლად წმიდამან: ეინ არიან ესენი, ანუ რა არს ცოდეა ამათი? ჰერქა ანგელოზმან: ესენი არიან ცნკრატისნი, რომელი ისიძეიდეს და ხორცი მათთა შეაგინეს და თეისი მონაზონთბა არა დაიმარხეს, ამისთვის აქა იტანჯვებიან. ჰერქა მიხაილ ყოვლად წმიდასა: მოყედ, ყოვლად წმიდაო, და იხილენ უფროსნი სატანჯველი სიმრავლე ცოდეილთა. მოვიდა ყოვლად წმ. ღვთისმშობელი და იხილა, მდინარე ცუცხლისა საშინელად გრგვინებიდა და მას შინა სხდეს მამანი და დედანი და ევშაპნი ცუცხლისანი ეკიდნეს ენითა მათითა. ტიროდა ყოვლად წმ. ღვთისმშობელი და ჰერქა მთავარანგელოზმან: — ესენი არიან, ყოვლად წმიდაო, მიძინენი და მემრუშაენი, მბეჭდებელი და ყოველთა აეთა საქმეთა მქმნელნი, ცრუფიცნი, სხვისა ნაშრომის მიმტაცებელნი და მქამილნი, რომელი მთავრობდენ გლახაკთა ზედა უშესალოდ, ცუცხლის მოკავარენი, მექრითამენი და კაცის მკველენი, ღვთისა ჭე ეკლესისა უმსახურონი და მღვდელნი მაგინებელნი.

ესენი რა იხილა ყოვლად წმიდამან, თქეა: ეა უყოონთა ცოდეილთა. ჰერქა მიხაილ მთავარანგელოზმან: ჯერედ არ გიხილავს, ყოვლად წმიდაო, უფროსნი სატანჯველი. მაშინ წარიყვანა ყოვლად წმიდა ღვთისმშობელი, სადა იგი იყვნენ დიდი სატანჯველი. მარცხენით კერძო იყო მდინარე ცუც-

ლისა და იკა ბნელი საშინელი და იყო ხილვა უბნელესსა თვისსა და იყო მას შინა სიმრავლე მათა და ცედათა; იყო ტირილი და ვაება და დუღა, ვითარუა ქვაბი და ქთებლა ღვლები, ვითარუა ზღვა განმეინებული და ნაცერუსალნი ცეცხლისა ჰუმლა ცოდეილთა და მატლი ჰსჭამდა მათ და თქეეს ყოველთა ერთხმობით: უფალო, შეგვიწვალენ, მსაჯულო სამართლისაო, იხილეს რა ყოვლად წმიდა რომელნი სტანჯველეს მათ ცოდეილთა, ღალად სიკვდილისა ჩვენისა აქა. ამეთუ რომელთა ღლედ სიკვდილისა ჩვენისა აქა. მომდე არღარა გვეხილნებს სინათლენი, აწ ღირს ვიქმენით ხილვად მოწყალებითა უბიწოდ მშობლისა შენისა.

და კეალად ხმა ჰყენს ღვთისმშობლისა მიმართ: გიხარდენ, ნათელო ღაულამებელო. ჰერქა ყოვლად წმიდამან, მიქაელ: დიდად ესწუხეარ და სალმოპითა ალმევსების გული. იხილა ყოვლად წმიდამან ანგელოსიცა იგი შეწუხებული, რომელი სტანჯველეს ცოდეილთა მათ, შეწუხნა ყოვლად წმ. და ტიროდა, შეწუხნა მიხაილ და მტანჯველნი იგი ანგელოზი ტირილისათვეს ყოვლად წმიდისა, ხოლო ცოდეილთა ღალად ჰყენს: კეოილად მოხვედ ჩვენთვის, ყოვლად წმიდა, რომელი ერთ საუკუნითვიან ბნელსა შინა, და თქეა ყოვლად წმიდამარ: ჰოი ძნელნი სახილველნი, რომელი განვიცალენ თეალითა და წარეცეს ყოველი და თქეეს, უფალო შეგვიწვალენ, და შემდგომად სიტყისა ამის დასტრა ღელეა იგი, რომელი იყო ცოდეილთა ზედა და კეალად გამოჩნდეს ცოდეილი. ვითარუა მდოგვისა მარცხელნი. ატიროდა ყოვლად წმ. ღვთისმშობელი და ჰერქა მიქაელ: რა არს მდინარე ესე ანუ რა არს ცოდეა ამათი, რომელი ისედან ბნელსა ამას შინა? ჰერქა მიქაილ ყოვლად წმიდასა: ესე არს ბნელი გარესკელი, რომელთა ჯერს აცეს უფალი ჩემი იხსო ქისტე ღმერთი და რომელთა არა ნათელ იღეს და აუკა ჰოწმენეს მამა, ძე და სული წმიდა და არიან უა და მას შინა, რომელი ისეიდეს სეინლიკნისა რომელ არს ნათელი დედა და მწეალებელნი და კაცის მკელელნი ძნელელნი და რომელი მოაშობენ ჩჩელითა. ჰერქა ყოვლად უშესალოდ წმ. ღვთისმშობელმან: მსაგა-სად საქმეთა მათთა ეყავნ მათ და მეუესეულად მოსცა რეხრა მდინარემან და ბნელი იგი დაეცა მ:თე ზედა და ცუცხლმან დაფარნა იკინი. ჰერქა მიხაილ ყო-



უად წმიდასა: უკეთუ ერნშე შთავალებს ბნელსა ამას
შანა, არაარ არს გამოსინა მისი. და ჰექტა ყოვლად
წმიდამან ღვთისმშობელმან: ვაი, ცოდნილთა და
ულონოთა, რამეთუ დაუსრულებელ არს სატანჯელი
მათვის. ჰექტა ყოვლად წმიდამან, გვედრები, მოხა-
ილ, ერის მთავარო, რათა მახილეო, რომელსა ად-
გილსა იტანჯებიან ქრისტიანენი ნათელლებულნი და
წარავლინა, სადა იგი იტანჯებოდნენ ქრისტიანენი. ისილნა ყოვლად წმიდამან ცეკვლითა და ბნელითა
ძელნი. ჰექტა მიხალს: ჩა არს ცოდნა ამათი? ჰექტა
მიხაილ ყოვლად წმიდასა: ესენი არიან, რომელთა
წათელ იღეს და საქმეთა ეშმაკისათა შეუდგეს და
სინაზულის ჭამი არ იცეს, უდებებით იქცეოდეს,
ამათვის აქ ესრულ იტანჯებიან ტბისა ამასა შინა
ცეკვლისა. ჰექტა კვალად წმიდამან, რამეთუ მაქტე
შენ და სიტყვა რამე, ზეცის ერის მთავარო. როცა
გარედ მეტა და ქრისტიანეთათანა ერტანჯებოდე. ჰექტა
მიხაილ, ყოვლად წმიდაო, შენ სამოთხესა შინა გა-
ნისვენე. ჰექტა ყოვლად წმიდამან, გვედრები შენ,
მიხაილ ზეცისა ძალთა მთავარო, წარმართენ თანა
მხელობით შენით და ილოცე ცოდნილთათვის. ჰექტა
მიხაილ ყოვლად წმიდასა: ცხოველ არს უფა-
სო შვიდ გზით ღამესა შინა და ჩენ თდეს შევწი-
რავთ ამათვის ვედრებასა, არა ისმენს ჩენსა ღმერთი.
ჰექტა ყოვლად წმიდამან, გვედრები, ზეცის ერისა
მთავარო, უბრძანე მხელობასა ან გელოზთასა, რათა
აღმიუვანოს მიმისა მიმართ სახიერის და თქმისავე ამას
ზედა აღიყვანეს შედრობათა წინაშე საყდრისა ღვთა-
ებისა. მაშინ განიპყრინა ხელნი თეისნი ქალწულმან
და თქვა: შეგვიწყალენ ჩენ ცოდნილი და მოგვედრენ
თვალითა წყალობისა ცოდნილთა ამათ ტანჯულთა,
რამეთუ გახილენ და ვერ ვიტვირთე ტანჯეასა მათსა,
რომელ ვიტანჯები ხილვითა ამითათ. მოვიდა ხმა
უხილვისა მათისა: ვერ შევიწყალებ, ყოვლად წმი-
დაო, და თუ კისმენ ვედრებასა შენსა, გარდავედავ
ხამპჭეალთა.

აღ. სახანშეიდა.

სახელმძღვანელო, საფურიადლები,
საჭირო და სასაკვებლო ცნობათა
განცხავლება.

აფადმეობობა ფუტკრებისა

ფა და რათი.

(გაგრძელება *)

ეს ხენი, სახელწოდებული ფალარათად, ნაკლებ
მაცნებელია, ვინემ ფუტკრის ჭამი. სენი შეიტყობა
მით, რომ სკის შიგნით კედლებზე, ბუდეში, ფიჭებზე
და ჩარჩოებზე დაინახავ ყვითელი ფერის მასმულ
ნაკელს, რომელსაც სდის მყრალი სუნი. მიზეზი
ფალარათისა არის შეწუხება და გამოლეიქება ფუტკ-
რებისა ზამთრის სიკივებში, როდესაც ისინი არიან
ლრმა ძილში (სიკეცილის მსგავსი მდგომარეობაა
მწერთა დიდ სიცივებში); აგრეთვე ძლიერ ხელს
უწყობს ფალარათს ციი ანუ მეტად თფილი ბინა,
სინოტი სკაში, როდესაც ისინი იძულებული არიან
სკის გასაშრობად სკან კედლებზე ჩამოსული წვეთები,
— გრძელი ზამთარი, ხმარება დაუბეჭდელი და ამი-
სათვის დამტავებული თაფლისა. ამისთანა შემ-
თხევებში ფუტკრები სკამენ ჩვეულებრივზე მეტ
თაფლს, რომელიც გრძელება კუჭში და ასესტებს
აგებულებას. ზამთარში ხმაურობით ფუტკრები არ
უნდა გააღვიძოთ, თორემ სიცივეს იგრძნობენ და
ტანის გასათფობად თაფლს დაქალებიან; საჭმელს,
რასაკვირველია, მონელება უნდა, მაგრამ ფუტკარი,
სანამ საღათა, თეისი ნაკელით სკას შიგნით არ გა-
აფუჭებს, გარეთ კი სიცივისა გამო ვერ გამოვა; ჰერის
გათფობამდის ნაკელი ტანში რჩება და ახდენს მას.
თქვენ ხშირად შემჩნევთ ნაერთდობის დროს ზემ-
თარში, როგორ გაბერილები გამოდიან ფუტკრები
სკებიდგან და დადის გაჭირვებით იწმინდებიან ჰაერში,
როგორ ეკიდება მათ უკანა ნაწილზე ძაფიეთ ნაკელი,
რამდენს ძალაუნებურად აჯენს თოვლზე და იქ საუ-
კუნოდ ათხოვებს ამ წუთისოფელს. აგრეთვე გადა-
მეტს სკამენ ფუტკრები თაფლს, როდესაც სკივათ.

*) ის. „მწყმების“ მე-23 № 1893 წ.

ძალიან თფილი სკებიც მავნებელია. უუტკრები ბარ-
ტუმბას ხელს მიჰყოფენ იმ ღრმას, როდესაც გარეთ
სიცევა, ბევრ საკებას ღლებენ ავტობულებაში ბარტ-
კებსათვის რძის გასაკეთებლად და მუშაობის ღრმას
გადამეტი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად;
სიცევა მათ გარეთ არ გამოუშებს და ფალარათ
უჩინს.

თფილი ამინდები ხშირად ათავისუფლებს მე-
ფუტკრეს დარღისა და წამლობისაგან; ფუტკრები გა-
მოდიან კარში, იქმინდებიან და ჩეხებიან; მაგრამ
მაინც კარგი განსაწმენლელი ხევრილობის შემდეგ ან
სხვა წმინდა სკაში გადაიყენოთ ფუტკრები და ან ბრნა
კარგად გაუწმინდოთ, გასვრილი უბარტუო ფიჭები
გამოიყალოთ, ბარტკიანი კი დანით დაუზიკოთ.
სჯობია, ბუდე დაპატარაოთ, ჭურჭუტანები დაჭა-
ნოთ, დაუწერილოთ საფრენი თვლები და ზერილგან
დათვით ბალიშით, ანუ ნაბღის ჩაჭრით.

ფალარათისაგან დასუსტებული ფუტკრები დალინ-
ბამდის ექრ ღონიერდებიან; მათ მეცუტკრე უნდა
წაეხმაროს ღონიერი სკებიდამ მოსირდელი ბარტკრები-
ანი ფიჭების ჩამატებით და, თუ ეკეც არ შავფრა,
უნდა წართვათ მას დედო და სხვებ გამოიყენოთ,
ფუტკრები კი მიუმატოთ სხვა სუსტ სკებს. შემდეგ
ამისა სკა და ფიჭებიც გაძანოთ კარბოლის სიმჭავე
გარეულ წყალით.

ფრენის შეუძლებლობა

ეს ავადმყოფობა ემჩნევა ფუტკრებს ხშირად ნა-
გარღობის შემდეგ; მიწაზე სკის წინ დაინახეთ მრა-
ვალ ფუტკარს ცალჭე, თუ გროვად, რომლებსაც არ
შეუძლიათ მაღლა ჰაერში აფრენა. რომ დაუკვირდეთ,
აღმოჩნდება, რომ ზოგი დაგლეჯილი აქცით ფრთხი,
ზოგი პატარა, ზოგი კი ღარბის მიწაზე ღიღი გაბ-
რილი მულებით. რომელებსაც დაგლეჯილი ფრთხი
აქცით, ბებრებია (როგორც დაკვირებით გაუგიათ,
ფუტკარი სკოცხლობს მარტო რეა თოვეს, უმთავრესი
საშორიობაზე დიდი მუშაობის ღრმას მქანი ცირკუ
დიდია) და მოხუცებულობით კედებიან; ფრთხის
სიპატარეების მიზეზი ბურნაა. ზოგი ამბობენ, რომ
ეს ავათმყოფობა ზოგიროთ ცვალილების მაწყინარი
თაფლის და ცვალილის ფქვილის ბრალით.

კუველ შემთხვევაში, ეს სენი მაღიან მახარა-
ლებებით არ არის და აღვილად ჰქონდა.

ფუტკრების მტრები

1, ხერნა ანუ ჩრჩილი.

ბურნას უწინდებენ მეფუტკრები პატარა რუტ
კეცელის. მას ადეილად ნახაეთ სკის ახლოს ბინდისას
ანუ სანთლეთან. სანთლოს სხვა მრავალი წვრილი
ჰეჭლების ესევა, მაგრამ უკელა ბურნა არ არის.
თვითონ ბურნა არაა მავნებელი ფუტკრებისათვის,
პხოლოდ მისი მატლებია, ხშირად მომსპობი მთელი
სკებისა. ეს მუქითამშამლები იყებებიან სანთლით და
უუტკრის ბარტკის კანით, რომელიც მას ჩეხება ბუ-
დები გამოისულის შემდეგ. ბურნის მატლები, გამოტ-
კდებიან თუ არა კერტხებიდან, მაშინევ შეუდებიან
ღმაჯუმებას. პირევლად ისინი გააბმუნ
ქსელს (ბალეს), რომელსაც ეკრ მიეკარება ფუტკარი
და შემდეგ დაუკეთებენ გზებს (ხერელებს) ფიჭის
ძრობში. რომ ბრძოლა მოუხერხონ, ფუტკრები
სკრიან ფიჭებს მოწებისათვის გზის გადასაჭრელია და
ამისათვის ახდენენ როგორც მრავალ ფიჭებს, აერთოე
ხოლენ თავის ბარტკებსაც და გაქცესთ სკიდგან.

თუ გაუჭირდათ ბრძოლა ფუტკრებს ამ მტრებ-
თან, რომელნიც დიდხანს არ უწდებიან მთელი ფიჭები
დაქსელონ თავის ბალით, მაშინ სკას სრულიად სტო-
ებენ, გამოდიან კარში ნაყარიერით და ეძებენ სხვა
წმინდა ბინას.

ბურნის წინააღმდეგი საშუალება ხშირი დათვა-
ლიერებაა სკისა, გამოწმენდა მუცერისა, განსაკუო-
რებით, ლაბნეული სანთლის ქერწლისა, რომელიც
ბურნის მატლებისათვის წარჩინებული ბუდეა, გამო-
ჭრა ფიჭის დაქსელული აღვილებისა. ღონიერ ნაყ-
რებს და რიგინად დაჭმანულს (გაგლებილს) სკები
ბურნა სრულიად ცერაფერს აკლებს.

2, მწიფობელა

მაისის დამდეგიდამ სკეცებრის დამლევამდე ჩვენში
სცხოერობს ერთნარი ფრინველი, რომელსაც იმე-
რეთში უწოდებენ მწიფობელას. ეს ფრინველი ფერად

მწერენა კუითელი ზოლებით და გრძელი ნისკარტით, დაფრინავს გუნდათ და იკეცებდა მწერებით. მწიფობელებს მეფეუტკრეს დიდ ზარალს და ხანდისხან, განსაკუთრებით, ნოტიო წლებში, სრულიად სპობს ფუტკრებს. გამჭრიახი მხედველობის შემწერბით, ის შორის ხედავს მფრინავ ფუტკარს და იქნას ჰაერში. ნადირობა ამ ფრინველზე ძლიერი აღიღია, მით უმეტეს, რომ თოთის სროლის არ ეშინა, ხეზე სხდომა გუნდათ იცის და ამისათვის ერთი სროლით ხშირად ბევრი მოიყვლის.

3. მ ე ს კ ი ა

მესკრა ჭრელი ჩიტია, ეტევება ფუტკარს უფრო ზამთარში. მარცვლებით ადვილი მისატყუფებელია მასტე და დასაჭრო.

4. კრაზანები (ბზიკები) და კიბანჭელებიც არ აკლებენ ხელს ფუტკრების მტრობას, რისთვისაც მეფუტკრე უნდა სწავლეს. მათ, რამდენადც მოუსკრდება.

5. ფუტკრის ტილი

მუჯაით მეფუტკრეს ხშირად ენაზულება წერილი, მოწითალო და ტკიბის შხვაესი მწერი, რომელიც აზის ფუტკარს კისერზე ან თავზე. ფუტკრებიდამ იგინი გადადინ დედოზე და ასხვებინ თუ თავზე, თუ კისერზე და თუ კისრის ნაოჭებში; თუ ბევრი დაქსია, შეუძლიათ დედო მოკლან.

6. თ ა გ ვ ე ბ ი

თავები დიდი მტრებია ფუტკრებისა, განსაკუთრებით, ზამთარში. თუ შესაგალი იშოვეს, ფიჭებს სრულიად დახრავენ. ზამთრის ძილის დროს არც თვეთონ ფუტკრებს აკლებენ ხელს. ამისათვის მეფუტკრე უნდა სცდილობდეს, რომ თავეს სკაში შესვალი არა ჭროდეს.

7. გომფაში

გომფაში ძლიერ შავნებელია ზაფხულის თვეები მიწაზე მდებარე სკებისათვის. სიცხის გამო ფუტკრები გროვად ჩამოეკიდებიან ხოლმე თვეებით, გომფაში მიაღვებიან და სჭამენ მუჭ-მუჭა.

გონიერული მრავლა ფუტკრისა

რომ დაუკვირდეთ ფუტკრის ცხოვრებას, როგორი ბინაც უნდა ჰქონდეს მას, ჩეენ ვხედავთ თაფლს ზევით და ბარტუების ბუდეს მის ქვეშ. მხოლოდ ძალდატანებით შეიძლება აღამინმა შეანახეინ მას თაფლი ბუდის გვერდზე ანუ ძირს. ცარიელ პლავებს მაღლა ფუტკრები სწრაფად აკებენ თაფლით. სიცავებში იგინი ზიან თაფლის ქვეშ, თუ ხელს არ უშლის ამგვარ მდგომარეობას სკის შენობა. ზამთარში, როდესაც მოძრაობა და გადასვლა ერთი ადგილიდამ მეორეზე ძნელია, მაშინ ამგვარი მოწყობილობა სკის მიუკრებელი საჭიროებაა; მათვის თაფლის მოძებნა არაა საჭირო, ღრმა მხოლოდ ნელნელ იზიონ ზევით ფიჭაზე; თაფლისათვის შორის მოგზაურობას ასცილ დებინ და აღარ მოსწყდებიან ხაერთო გუნდს ანუ თაფლის აღვილს; სითუო ცხადია, ზევით მიღის, რის გამოც თაფლი, გარდა იმისა, რომ კარგად იჩახება, თხელია და ფუტკრებს აღარ სჭირდებათ მისი გაღნობა.

უნაკლულო ბინა, რასაკვირველია, იქნება იმისთანა, რომელიც მეფუტკრეს შეუძლია თავისუფლად, როდესაც სურს, თაფლის შენობის წაუხდენლად გადაათვალიეროს, განილოს, მოუაროს საჭიროების დროს. ამისთანა სკაში აღვილად უნდა შეიძლებოდეს კოველი ფიჭის ამოლება და თავის აღავს ჩადგმა. როდესაც ამინარიად იქნება ფუტკრების ბინა მოწყობილი, მაშინ მეფუტკრეს შეუძლია სთქვას ფუტკრები მოვაშინაურე და მათი პატრონი გაეხდიო.

დასამლელი სკა

დაშლა სკისა შესაძლოა მაშინ, როდესაც თვით თეული ფიჭა (სარაჭა) მოთავსებულია ცალკე ჩარჩოში და იმინაც ამოილება. ჩარჩოები სკაში არინ მიწყობილი ერთიმეორებულება ისე, რომ შეაში ფუტკრებს აქვთ თავისუფალი სასიარულო. ჩარჩოს ზედა თავის სიფართე დამოკიდებულია ფიჭის და ფუტკრების სასიარულო ალაგის (ქუჩის) სიფართეზე. თვით თეული ჩარჩოს თავის სიფართე უნდა იქმნეს უმეტნაკლებოდ სამი მეოთხედი გოჯისა (ვერმოკისა). ამ ნაირი ჩარჩოები ჩაიწყობა სკაში ზევიდამ, ან გვერდი-

დამ. ჩაცხი მათი დამოკიდებულია ფუტრის ღონებები და სიმრავლები. ფუტრი უნდა იყენებ მიმღელი შეგნიდგან, ჩარჩოს თავის შეს ალაგას, ამისათვის ხელოვნურს, ანუ ნამდვილ ფიჭას გამდნარი წმინდა სანთლით აკერძნ აღნიშნულ ალაგას. თუ ფიჭა არ არის, მაშინ სახაზაეთ წმინდა სანილის სწორ ხაზს გაავლებენ იმ ალაგას, საღაც უნდათ ფუტრებს ფიჭები მიაგერენონ და გზას იღარ შეიშლიან.

დასაშლელი სკები ბევრნაირია. მათ შორის უმჯობესია იმისთანა, რომლის გასინჯვა ერთი შეხედებით შეიძლება ბუდის დაუმგერევლად. საქმე იმაშია, რომ რომელი ჩარჩო გინდათ, ის უნდა ამო-ლოთ დანარჩენების გაუნძრევლად, თორებ თუ სხვებისაც შენძრევა და გამოლება დაგვერიდა, ეს ძნელიც იქნება და მანებელიც.

დარიგება მეფუტკრეობის დაწეებისათვის

როდესაც მეზობლებს და ნაცნობებს უჩიევ ფუტრის გაშენებას, ყოველთვის გეუბნებიან: «ვავა-შენებდი, მაგრამ მოვლის არა გამეგება რა». საჭიროა მხოლოდ ფუტკარი იშოვოთ და მერმე თვი-თონ შეგასწავლის და შეგაუვარებს თავს. ფუტკარი ისეთი რამ არის მეფუტკრეობაში, რომ ყოველმა მუშა კაცმა მიუცილებლად უნდა გაიშენოს. თუ მანც მაშინვე ვერ გადაიყვანთ კოდიდვან ჩარჩოსან სკაში, დიდი უბედურება არ მოხდება, უსარკებლოდ მანც არ დაჩინდი.

იანვარი და თებერვალი კარგი დროა ფუტკარის სყიდეისათვის. სყიდვის დროს თან იყალიერ გამოც-დილი კაცი, რომ საღი და ლონიერი ფუტკარი ამო-არჩიოთ, ლონიერ ფუტკარში მეტიც რომ მისცეთ, ისა სჯობია. წალება შეგიძლიათ, როდესაც ჯერ კი-დევ თოველია, თუმცა დაგვიანებასაც არა უშავს-რა, მხოლოდ თავდალმა არ მოგიიღეს დადგმა, თორებ ფიჭები პირშელში მოვა და წახდება. შემდეგ ამისა საჭიროა მომზადეს ნაერებისათვის ბან ები—აკები.

რ. ჩიხლაძე.

ԿԵՎԿԲՑԷԺԹՈՎԵԿ ԵՔՕՎԵԿԻ.

ԿՎ ՓՊՂՊՄՎՐԵՑՄ.

Թ կუրսიկულ շედელებի ყოფილ ყერտի სამ. ჭ. ხელისხმა ხეცემულ ჭ.

Կ ՓՊՂՊՄՎՐԵՑՄ.

Կუրսიկულ կամ լուղար ծագմա պահպան սამ. ჭ. ხელისხმა ხეცემულ ჭ. ჭ.

ԿՑ ՓՊՂՊՄՎՐԵՑՄ.

Սպաსუթ ծէ პეպա սამ. ჭ. Կռու պահպան սამ. ჭ. ხელისხმა ხეცემულ ჭ.

Էկամ ადგი, կან ბერ ბ. ხელისხმა ხეცემულ ჭ.

ԿՆ ՓՊՂՊՄՎՐԵՑՄ.

Կუրսიկულ կუրպ ուղար ծագմա պահպան սամ. ჭ. պահ բ. ხელისხმა ხեცემულ ჭ. ჭ.

816 061 2016 01 00.

სახელმძღვანელონი,

დაწე დნ ია კო გ დ გ ბ ა შ გ ი დ ი ს მ ი ე რ.

დ ე დ ბ - ე ნ ს, ანუ ანბანი და პირველი ხაյით-ხავი წიგნი, საერთ და სამრევლო სკოლებში სახმა-რებელი, მეცხრე შევსებული გამოცემა, დაბეჭილი წერა-კიოხვის საზოგადოების მიერ. ამ გამოცემაში ჩართულია თავში სახატავი სურათები და ბოლოში საწერი დედანი, ასე, რომ ამ წიგნის მხმარებელთ ალარ მოუნდებათ სყიდვა არც სახატავებისა და არც დედნისა. უასი ისევ ექვსი შაურია, ყდით ორი აბაზი. მა წიგნი მოწონებულია და მართულის ენის სახელ. მძღვანელობა დანიშნული განათლების სამინისტროს მიერ და უწმიდესის სონოდისგან... ვინც ერთად იყიდის ოც და ათსან მეტს ცალსა, წიგნი დაფთმობა ხეთ შაურათ, ყდით 33 კაპ.

გ უ ნ ი ბ ი ს პ პ რ ი, ანუ საკითხავი წიგნი, უმც-როს კლასში სახმარებელი, მეცნიერ გამოცემა, შეკული ს ურათებით და საქართველოს ქარტით,

დაბეჭდილია წერა-კითხვის სახოვალოების მიერ. ვაი ყიდათ ოთხი-აბაზ უზალტუნი (90 კავ.). უკიდოთ ეს გამოცემა არ ისყიდება. მიჩ ერთად იყიდის ათს ცალსა, წიგნი დაეთმობა ოთხ აბაზად, ვინც ოცხა— თუთხმეტ შაურად და ვინც ოც-და-ათხა— თოთხმეტ შაურად. მს წიგნიც მოწონებულია სამინისტროსაგან, როგორც „მშენებელი სახელმძღვანელო მართულის ენისა“ და აგრეთვე უწმიდესი სინოდისაგან.

ქ რ ქ რ ქ, ანუ ანბანი და პირველი საკითხევი წიგნი, სახლობაში სახმარებელი, გამოცემა მეშვიდე, ფასი ორი შაური; ნარდათ 8 კაბიკი.

ქ რ ნ ქ საყმაწვილო მოთხრობათა ბუნების შეცნიერებიდან, მეხამე გამოცემა, სურათებიანი, ფასი ათი შაური, ვინც ნაღდს ფულზედ იყიდის ათს ცალსა, ცხრა შაურად მიეცემა წიგნი, ვინც ოცხა, ორ აბაზათ. წიგნი მოწონებულია როგორც სამინისტროსაგან, ისე სინოდისაგან.

ქ რ მ ლ ქ, ანუ რჩეულთა ლექსია ქრება მოზრდილ კრიმინალის, მეორე გამოცემა, ფასი ექვსი შაური. მოწონებულია სამინისტროსა და სინოდისაგან.

ქ უ წ ე რ ქ, ანუ საყმაწვილო მოთხრობათა, ფასი ორი აბაზი. მოწონებულია როგორც სამინისტროსა გან, ისე სინოდისაგან.

ისვენებ რს ჰემე? მოთხრობა მოზრდილი კრიმინალიდაბისათვის, ფასი ორი შაური.

სამის მიზიდი? საყმაწვილო მოთხრობა, ფასი ერთი შაური.

სამის მიზი საყმაწვილო მოთხრობა მეუე მრეკლეს სურათით და ქართველი, ფასი ორი შაური.

მირითაღი უკუღმართობა, პუბლიცისტური წერილი დედა-ენის მნიშვნელობის შესახებ კერძო აღმანის და მთელის ერთ ცხოვრებასა და წარმატებაში, ფასი ერთი აბაზი...

РУССКОЕ СЛОВО, часть первая, издание четвертое цѣна тридцать копеекъ, въ переплѣтѣ 40 копеекъ.

РУССКОЕ СЛОВО, часть вторая, издание третье, цѣна 40 копеекъ. Въ переплѣтѣ 50 коп.

РУКОВОДСТВО для учащихъ къ преподаванію русскаго языка по „Русскому Слову“, цѣна 50 коп.

Обѣ части «Русского Слова» одобрены въ качествѣ учебнаго руководства по русскому языку для грузинскихъ школъ, а «Руководство для учащихъ» одобрено для библиотекъ низшихъ и среднихъ учебныхъ заведеній всего Кавказскаго учебнаго округа, и то и другое одобрено учебнымъ Начальствомъ, съ утверждѣніемъ Господина Главноначальствующаго. (Смотрите „Сборникъ“ распоряженіе по управлѣнію Кавказскимъ Учебнымъ округомъ стран. 1965 и 1967).

Равнымъ образомъ одобрено и рекомендовано «Русское Слово» духовнымъ учебнымъ Начальствомъ.

მიზანი სალის-მოწოდე 1894 წლისათვის ორ კვირეულ გამოცემათა ქართულს

„გვერდის“-ზე ქ

რუსულ 『ПАСТИРЬ』-ზე

მიზანი და დანიშნულება გაზეთისა: 1) შეატყობინოს სამღვდელო და საერთო წოდებას ყველა განკარგულება და მოქმედება უმაღლესთა სასულიერო და საერთო მართებრბობათა, კონსისტორიათა და მღვდელ-მთავართა; 2) გაატყოცელოს ქართველ სასულიერო წოდებაში და ხალხში სალიტერატურო სწავლა და ცოდნა. საეკლესიო და სახოვადოებრივი ცხოვნების კითხეათა შესახებ; 3) გაატყოცელოს საქართველოს სამღვდელო და საერთო წოდებაში სწავლა და მუწიერება ქრისტიანობრივი კეთილ ზნეობისა და სარწმუნოებისა და 4) აუქსენას და განუმარტოს სამღვდელო და საეკლესიო მოსამსახურები პირთა ზოგიერთი საეჭვო კითხები, რომელთა ცოდნა მიუკიდებელ საჭიროებას შეაღევნს მათთვის მრკიცედ მათი მოვალეობის აღსრულებისათვის.

მიზანი და დანიშნულება რუსული გამოცემისა ზემოხსნებულის პროგრამის აღსრულების გარდა არის— 1) შეატყობინოს რუსეთის სასულიერო და საერთო წოდებას შინაარსი შესანიშნავ და საინტერესო 『მწყემს』-ში დაბეჭდილ სტატიებისა; 2) გააცნოს რუსეთის სასულიერო და საერთო წოდებას საქართველო, ეს დაშორებული კუთხე რუსეთის იმპერიისა და საქართველოს სასულიერო და საერთო წოდება ქართული გამოცემის საშუალებით გააცნოს რუსეთის სასულიერო მწერლობას და ხალხის ცხოვრებას.

ფასი ქურნალისა:

12 თვეთ 『მწყემსი』 5 გ. | 6 თვეთ 『მწყემსი』 3 გ.
— „ თრივე გამოცემა 6 ” | — „ თრივე გამოცემა 4 ”
— „ რუსული „ 3 გ. | — „ რუსული „ 2 გ.

სოფლის გასწავლებელთ 『მწყემსი』 დაეთმობათ
მთელის წლით სამ განეთა დ.

რედაქციას აქვს კანტორები: ქუთასში ხანანაშვილების სახლებში და ქიორიაში რედაქტორის საკუთარს სახლებში.

ზაზეთზე ხელის-მოწერა შეიძლება როგორც შეიძლება აგრძელების, აგრძელების ქუთასში.

ზარუშე მცხოვრებთა ეურნალის დაბარება შეუძლიათ ამ აღრებით: Въ Квирилы, въ редакцію газеты и журнала „МЦКЕМСИ“ и «ПАСТЫРЬ».

შედეგის ხედის-მარკის 1893 წლისათვის თავისუ
საექსიფილო სურათების ეურნალ

„Х ა ხ ი ლ ქ ე“

წელიწადში გამოვა სულ 6 წიგნი, და თითო წიგნში იქნება ოთხიდამ-ხუთამდე ნაბეჭდი თაბაზი, ანუ 64—80-დე გვერდი დიდის ფორმატისა.

«ჯეჯილი» დაიბეჭდება: მოთხოვანი, ლექსები, ზღაპრები, მოგზაურობის და შესანიშნავ-კაცო-ცხოვრების აღწერა, პოემები, მოკლე ამბები, სამეცნიერო წერილები, საბავშო სათამაშონი და სავარჯიშონი, სამათემატიკა-ამოცანები, იგავები, ანდაზები, გამოცანები, ნარევი, რებუსები და სიმღერები ნოტებით.

ეურნალში მონაწილეობის მიღება აღვეთქვეს ცველა ჩევნმა საუკეთესო მწერლებმა.

ეურნალი 『ჯეჯილი』 თბილის დატარებით ელიოება—3 მანეთი, თბილის გარეშე გაგზავნით 4 მან.

ცალკე ნომრის ფასი იქნება 60 კპ.

ხელის მოწერა შეიძლება მხოლოდ წლით და ნახევარი წლით.

რედაქტორი-გამომცემელი ან. თ. წერეთლია.

(3-3)

სამეცნიერო და სალიტერატურული ნახატებიანი გაზეთი

„გვალი“

გამოვა 1894 წლიდან ყოველ კვირაში ერთხელ ერთიდან სამ თაბაზამდის იმავე პროგრამით.

რედაქცია ყოველ-ღონისძიებას ხმარობს გააუმჯობესოს შინაარსი და სახე განვითისა. ამ განზრავით მან დაბარა პეტერბუ-ღილან მრავალი საუკეთესო ცინკზე და საილენტე მოჭრილი მხატვრობა.

წლიურად ელიოება გაუგზავნელად შეიღი მანეთი, ხოლო გაგზავნით 8 მან. ნახევარის წლისა გაუ-

გზავნელად სამი მან. და აზი შაური, გაგზავნით ითხი მანეთი; სამი თეისა გაუგზავნელად აზი მან. გაგზავნით სამი მან. თითო ნომერი ააზათ.

ხელის მოწერა მიღების

ტფილისში არწუნისსეულ ქარვასლის ქართულ სახალხო სამკიოთველოში და „წერა-კიოთხების სახო-გადოების“ კანცელარიაში. ქალაქს გარეშე ხელის მიმმწერი უნდა მიიკუნ 『კვალის』 რედაქციაში თიფლის, რედაქცია 『კვალი』.

4-3

1894 წლის იანვარიდან
გამოვა ყოველ თვეიური ქართული გურიალი

„მოძახება“

შემდეგის პროგრამით:

I სიტვება-კაზაშული მწერლობა ორაგინალი და ნათარგმნი რუსულიდან და უცხო ენებიდან: რომანები, მოთხოვნები, ამბები, ლექსები, პოემები, ლრა-მატიული თხულებანი და სახალხო სიტყვიერების ნაწარმოები.

II სიტონია, ვეოგრაფია, არქეოლოგია, ბიო კრიფია შესანიშნავის კაცებისა, ხაერთ მეურნეობა, მართლ-მაჯულება, შესანიშნავი სამუჯავრო პრო-ცესები

III სასოფლო მეურნეობა: სასოფლო მეურნეო-ბისა და მუწელელობის შესახებ სტატიები და კო-ნკრეტული დეტალები.

IV ქრიტიკა და ბიბლიოგრაფია ქართული, რუ-სულისა და უცხოეთის სალიტერატურო და სამეცნიერო თხულებათა შესახებ.

V ქრონიკა: ახალი ამბები შინაურის და უცხო ძევეურების ცხოვრებიდან.

VI ნაწევრი.

VII განცხადების.

უასი შორისლისა გაზიარებით:

ერთის წლით—10 მან., ერთის თოვით—6 მანეთი, სამის თოვით 4 მანეთი.

ხელის მოწერა მიღება თვით რედაქტორი, რო-მელსაც უნდა მიმმართოს შემდეგის აღრესით:

Въ Тифлисъ. Въ редакцію грузинского журнала «МОАМБЭ».

4-4

რედაქტორი და გამომცემელი დეკ. დ. ლამბაშიძე. დოკ. ინცურით. კუთაისი, 30 იანვარი 1894 წ.

Типография редакции (Ш. Д. ЛАМБАШИДЗЕ) Въ Кутаиси, помѣщ. въ д. бр. Хавановыхъ на Нѣмецкой ул.